



სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტრატეგია 2020 - 2026

დამტკიცებულია 2019 წლის 24 სექტემბრის აკადემიური

საბჭოს №08-19

საოქმო გადაწყვეტილებით

განახლების თარიღი: 2020 წლის 16 აპრილის აკადემიური საბჭოს №04-20 საოქმო გადაწყვეტილება

შინაარსი.

1. რექტორის წინათქმა	3
2. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და მეთოდოლოგია	3
3. ისტორია და მნიშვნელოვანი ეტაპები	6
4. საბაუნის დღეს	6
5. სიტუაციური ანალიზი	7
დარგობრივი მიმართულებების ანალიზი (PESTEL)	7
საბაუნის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი	9
სტრატეგიული გამოწვევები	10
საბაუნის შიდა და გარე დაინტერესებული პირები	12
6. ხედვა	12
7. მისია	12
8. საბაუნის ძირითადი ღირებულებები	12
9. სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და აქტივობები	14
სფერო 1: კარგად გამოხატული იდენტობა და გავლენა საზოგადოებაზე	14
სფერო 2: სტუდენტთა პიროვნული და კარიერული განვითარება	16
სფერო 3: აკადემიური საქმიანობა	19
სფერო 4: ადამიანისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება	25
10. კაპიტალის გაფართოება და ახალი ინფრასტრუქტურული სივრცეების შექმნა	29
11. განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება	31
12. სტრატეგიული გეგმის ღირებულება	32

1. რექტორის წინათქმა

ცოდნისა და განათლების მიღება არ ნიშნავს უბრალოდ ინფორმაციის შეგროვებას. უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც თითოეული ადამიანი ეძიებს იმ რაღაც მეტს, რაც მას ახალ ადამიანურ სიმადლებებზე აიყვანს. მაგრამ რა არის ეს მეტი, ამას საბაუნის ინდივიდუალურად თითოეულ პიროვნებასთან მიმართებით განმარტავს იმით, რომ თითოეულ ინდივიდთან თანადგომით, ერთობლივი შრომით და ძიებით, გამოცდილების გაზიარებითა და შესაძლებლობათა შეთავაზებით პოულობს საკუთარი პროფესიული და პიროვნული ცხოვრების წარმატების გზას. შესაბამისად, საბაუნის ქმნის იმ ერთ დიდ ოჯახს, სადაც ადამიანები ერთმანეთს ასწავლიან, ეხმარებიან, იკვლევენ და ეძებენ წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს. ამით ხსნიან პიროვნული ჩამოყალიბების იმ გარემოს, სადაც თაობები, სხვადასხვა კულტურა და ტრადიცია, განსხვავებული ცხოვრების წესები და ინტერესთა სფეროები ერთმანეთს ხვდება და საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს.

საბაუნის დიდი ისტორიული და სულიერი გამოცდილება უმაგრებს ზურგს. ეს განპირობებულია მისი დამფუძნებლის სტატუსითა და ათასწლოვანი გამოცდილებით, რაც საერთაშორისო მასშტაბით უნივერსიტეტთა დიდ ქსელსა და მათ აკადემიურ გამოცდილებას მოიაზრებს.

საბაუნის ესწრაფვის ცოდნის, პროფესიონალიზმის, ახალი სამეცნიერო და კვლევითი შესაძლებლობების დამკვიდრებით ქვეყნის განვითარებას.

2. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და მეთოდოლოგია

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში „საბაუნის“) სტრატეგიულ გეგმაში უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების პრიორიტეტებია განსაზღვრული. 2020-2026 წწ. სტრატეგიული გეგმის ინიციატორი შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. 2010 წლის 1 ოქტომბრის ავტორიზაციის საფასურისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ საქართველოს № 99/N დებულების თანახმად, უნივერსიტეტებმა საკუთარი სტრატეგიული გეგმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნდა წარუდგინონ.

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავების დაგეგმვის პროცესს ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის რექტორი. პროცესში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენლები. სტრატეგიული გეგმის შემუშავებას გამოცდილი კონსულტანტი (ფასილიტატორი) ხელმძღვანელობდა. საბაუნის სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა უნივერსიტეტმა 2018 წლიდან დაიწყო. ერთი წლის მანძილზე ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრებთან, სხვადასხვა ლოკაციაზე, სადაც ცალ-ცალკე განიხილეს უნივერსიტეტის მისია, განსაზღვრეს მიზნები, შეაფასეს უნივერსიტეტის შიდა (SWOT) და გარე (PESTEL) გარემო, განაახლეს უნივერსიტეტის სტრუქტურა, განისაზღვრა პასუხისმგებელი პირები და დაევალათ, უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმების შემუშავება.

შეხვედრები უშუალოდ სამ ნაწილად იყო გაყოფილი, პირველ ნაწილში ფასილიტატორი/კონსულტანტი დამსწრეებს აწვდიდა თეორიულ მასალას, უხსნიდა სტრატეგიული დოკუმენტის შემადგენელ

ნაწილებს, განსაზღვრავდა ტერმინებს და ასე შემდეგ; შეხვედრის მეორე ნაწილი, ჯგუფურ მუშაობას ეთმობოდა, სადაც განიხილავდნენ კონკრეტულ თემებს, გამოთქვამდნენ მოსაზრებებს და ამზადებდნენ მოკლე პრეზენტაციებს, რომელთაც შემდეგ განიხილავდნენ შეხვედრების მესამე ნაწილში. ერთად შეჯერებულ ვერსიას საბოლოო სახეს კონსულტანტი აძლევდა და გასაცნობად უგზავნიდა მონაწილეებს.

უნივერსიტეტის სტრატეგიაზე მუშაობა 2019 წელსაც გაგრძელდა. ვინაიდან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მმართველ პოზიციებზე რამდენიმე ახალი თანამშრომლები შეემატა, სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ისინიც აქტიურად ჩაებნენ. სამუშაო ჯგუფს ასევე შემოუერთდა რამდენიმე პროფესორი და სტუდენტი. შეხვედრები ზემოთ აღნიშნული მეთოდით გაგრძელდა. მთლიანობაში, სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრაში ოცდათხუთმეტმა დაინტერესებულმა პირმა მიიღო მონაწილეობა. უნივერსიტეტში მომუშავეთა აქტიური ჩართულობა სტრატეგიული გეგმისადმი ერთგულებასა და შესაბამისად, მის ეფექტურ განხორციელებას განაპირობებს.

შეფასება ოთხ ეტაპად განხორციელდა.

1. სიტუაციის შეფასება (შიდა და გარე)
2. მისიის ხედვისა და ძირითადი ღირებულებების მიმოხილვა,
3. პრიორიტეტული სფეროების დადგენა, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა და შესრულების ინდიკატორები,
4. მიზნის საშემფასებლო ბარათების შემუშავება,
5. მონიტორინგის გეგმის შემუშავება.

1. სიტუაციის შეფასება (შიდა გარემო და გარე გარემო)

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის პირველი ნაბიჯი იყო უნივერსიტეტის შიდა და გარე [სიტუაციის] შეფასებების განხორციელება ფოკუს ჯგუფების დისკუსიების გზით.

უნივერსიტეტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხებისა და მისი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის მიზნით რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო. შიდა და გარე ანალიზის განხორციელებით დავადგინეთ [უნივერსიტეტის] ძლიერი და სუსტი მხარეები და სხვა გარეშე (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ა.შ.) ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ან უწყობს უნივერსიტეტის განვითარებას.

შიდა გარემო ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრა (SWOT ანალიზი) შედის. იგი ადამიანური და მატერიალური რესურსების, დაინტერესებული მხარეების, საუნივერსიტეტო პოლიტიკისა და მომსახურების, მართვის ორგანოების საქმიანობას მოიცავს. შიდა შეფასებამ ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები გამოავლინა, რომლებიც მე-5 თავშია წარმოდგენილი.

გარე გარემოს შეფასებისას PESTEL ანალიზის მეთოდი იქნა გამოყენებული. გაანალიზდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სამართლებრივი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის მისიასა და მიზნებზე. ეს გულისხმობს უნივერსიტეტის გარე გარემოსა და იმ საფრთხეების შეფასებას, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მასზე. აღნიშნული, ასევე, მოიაზრებს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობისა და პარტნიორებთან თანამშრომლობის ანალიზს.

შეფასებისას გამოვლინდა ორგანიზაციის შესაძლებლობები და მის წინაშე არსებული საფრთხეები, რაც დაწვრილებით არის განხილულია მეხუთე თავში.

დაინტერესებულ პირთა ჩართულობა*

ანალიზის პროცესში განისაზღვრა საბაუნისთვის მნიშვნელოვანი დაინტერესებული პირები. მათი დეტალური სია მოცემულია მე-5 თავში „სიტუაციური ანალიზი“.

2. მისიის, ხედვისა და ძირითადი ღირებულებების მიმოხილვა

ჯგუფური მუშაობისას განიხილეს საბაუნის მისია, ხედვა და ძირითადი ღირებულებები. სპეციალურად შექმნილი გუნდი ხუთ სამუშაო ჯგუფად დაიყო; თითოეულმა მათგანმა ხედვისა და მისიის საკუთარი ვერსია შეიმუშავა. ამ ვერსიების შეჯერებით ერთიანი ტექსტი შეიქმნა. ჯგუფებმა ახალი მისია და ხედვა ძველ მისიასა და ხედვას შეადარეს, რათა გაერკვიათ, რამდენად შეიცვალა უნივერსიტეტის მიდგომა აღნიშნულთან დაკავშირებით. შედეგად კი უნივერსიტეტის განახლებული მისია და ხედვა ჩამოყალიბდა. იმავე მეთოდოლოგიის გამოყენებით გამოიკვეთა ორგანიზაციის ძირითადი ღირებულებები.

3. პრიორიტეტული სფეროების, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა და ეფექტურობის მთავარი ინდიკატორები

SWOT და PESTEL ანალიზით ჯგუფმა კონკრეტული პრობლემების მიზეზები და შესაძლო შედეგები განსაზღვრა. ე.წ. „პრობლემების ხით“ იდენტიფიცირებული უარყოფითი გარემოებები უნივერსიტეტისთვის გამოწვევად და შესაძლებლობად წარმოჩინდა, აქედან გამოდინარე დაისახა მიზნები და მათი შესაბამისი ამოცანები.

ყოველი მიზნისა და ამოცანის განსაზღვრისას სტრატეგიები და ეფექტურობის ინდიკატორები გამოიკვეთა. ეს ინდიკატორები მოცემულია ამ დოკუმენტში, ხოლო სტრატეგიებს დანართის თანმხლებ შეფასების ბარათებშია მოცემული.

4. სამოქმედო გეგმა

სტრატეგიის საფუძველზე თითოეული მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშავეს სტრატეგიის შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელში დეტალურადაა გაწერილი ეფექტიანობის ინდიკატორები, სტრატეგიული მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობის პირები, სავარაუდო ხარჯები, არსებული მდგომარეობა და მომავალი აქტივობები.

სტრატეგიული გეგმის პირველი სამუშაო ვერსია საჯარო გაცნობის მიზნით ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. სტუდენტებისა და პროფესორებისაგან მიღებული უკუკავშირი გაანალიზდა და შესაძლებლობის ფარგლებში, აისახა დოკუმენტში.

სტრატეგიული გეგმა ორიენტირებულია შემდეგზე:

- მიზანმიმართული ძალისხმევა მკვეთრად გამოხატული იდენტობის დასამკვიდრებლად;

* „დაინტერესებულ პირებში“ იგულისხმებიან დამსაქმებლები, პარტნიორები და შრომის ბაზრის სხვა მოთამაშეები. (ე.წ. „Stakeholders“)

- სტუდენტთა მომსახურებების გაუმჯობესება, მათი პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის სტატუსის ცვლილება და საკუთარი აკადემიური მიმართულებების გამრავალფეროვნება;
- უნივერსიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება ადამიანური რესურსებისა და კაპიტალის განვითარებაში ინვესტირებით.

2019 წლის 24 სექტემბრის აკადემიური საბჭოს №08-19 ოქმით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026 წწ. პერიოდზეა გათვლილი.

3. ისტორია და მნიშვნელოვანი ეტაპები

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის ინიციატივით 2002 წელს დაფუძნდა, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ფილოსოფიის, თეოლოგიის, ისტორიისა და კულტურის ინსტიტუტი. თავდაპირველად უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი, თეოლოგიის ფაკულტეტი იყო, სადაც ქრისტიანული თეოლოგია ისწავლებოდა. ინსტიტუტის სახელით იმართებოდა საერთაშორისო სიმპოზიუმები, კონფერენციები და სემინარები, გამოიცემოდა ფილოსოფიური, თეოლოგიური და სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო წიგნი და სახელმძღვანელო.

2009 წლიდან ინსტიტუტი სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით ფუნქციონირებს. უნივერსიტეტში შეიქმნა ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო, ასევე თეოლოგიის, სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. ფაკულტეტების ბაზაზე მოქმედებს რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი, რომლებიც ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას. შედეგად, შესრულებულია რამდენიმე ასეული კვლევა, გამოცემულია ათობით წიგნი, სახელმძღვანელო და სამეცნიერო ჟურნალი.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან, აქვს გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისა და პროფესორებისთვის, არის რამდენიმე საერთაშორისო საუნივერსიტეტო ასოციაციის წევრი და სარგებლობს ექსკლუზიური სასტიპენდიო და ინსტიტუციური საერთაშორისო მხარდაჭერით.

4. საბაზისი დღეს

ამჟამად, საბაზისი ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია საქართველოში იმის მიუხედავად, რომ ჯერ არსებობის ბევრ წელს სულაც არ ითვლის. დაწესებულება თითქმის 20 წელია ფუნქციონირებს. ამჟამად საბაზისი ქართულ და ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ათასამდე ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს.

საბაუნი შედგება საგანმანათლებლო, კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისგან. ამჟამად უნივერსიტეტში სამი ფაკულტეტი და 7 კვლევითი ცენტრი და ინსტიტუტი მოქმედებს.

2020 წლის მიწურულს დასრულდება საბაუნის საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის უნივერსიტეტის პოტენციალს, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სტუდენტებსა და პროფესორებში.

5. სიტუაციური ანალიზი

დარგობრივი მიმართულებების ანალიზი (PESTEL)

პოლიტიკური

<u>პოზიტიური</u>	<u>ნეგატიური</u>
<ul style="list-style-type: none"> პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის შენარჩუნება 	<ul style="list-style-type: none"> არაპროგნოზირებადი ცვლილებები უმაღლესი განათლების პოლიტიკაში გეოპოლიტიკური არასტაბილურობა კორუფცია - უსამართლო პრივილეგიების მინიჭება სხვა მოთამაშეებისათვის, სამართლიანი კონკურენციის ზიანი მიგრაციის სამთავრობო პოლიტიკა (პოტენციური საერთაშორისო სტუდენტების კონტექსტში) ბუნდოვანი საგადასახადო პოლიტიკა უნივერსიტეტების რაოდენობა და სუბსიდირებული პროგრამები/ე.წ „უფასო ფაკულტეტები“ მოსწავლეთა საბაზო და საშუალო განათლების დაბალი დონე, რაც გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების პროგრამის ხარისხზე სამართლის უზენაესობასთან დაკავშირებული პრობლემები და გარდამავალი დემოკრატიის გამოწვევები

ეკონომიკური

<u>პოზიტიური</u>	<u>ნეგატიური</u>
<ul style="list-style-type: none"> მცირე საგადასახადო ტვირთი ეკონომიკური ინტეგრაცია მსოფლიო ბაზარზე 	<ul style="list-style-type: none"> მცირე ეკონომიკური ზრდა გაცვლითი კურსის ცვალებადობა ინფლაციის რისკი

	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის დაბალი შემოსავალი • შემოსავლის არათანაბარი გადანაწილება • უმუშევრობის მაღალი დონე • კვლევითი და ინოვაციური საწარმოების გახსნის დაბალი მაჩვენებელი • კრედიტის, სესხის მიღების გართულებული პირობები • პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება
--	--

სოციალური

<u>პოზიტიური</u>	<u>ნეგატიური</u>
<ul style="list-style-type: none"> • ფორმალური განათლებისადმი ინტერესი • განათლების ხელმისაწვდომობა 	<ul style="list-style-type: none"> • შობადობის დაბალი დონე • ახალი სტუდენტების დამოკიდებულება სწავლისა და კარიერის მიმართ/ განათლების მნიშვნელობისადმი უყურადღებობა • კულტურული ბარიერები, როგორცაა ჰომოფობია, რასიზმი, ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების სირთულე და ა.შ • სტუდენტების არჩევანზე მშობლების გავლენა • ნიჭიერი ხალხის გადინება ქვეყნიდან • კრიმინალის ზრდა • უცხო ენების ცოდნის დაბალი დონე

ტექნოლოგიური

<u>პოზიტიური</u>	<u>ნეგატიური</u>
<ul style="list-style-type: none"> • ახალ ტექნოლოგიებთან წვდომა • ტექნოლოგიური ცვილებები • ელექტრონული პლატფორმის შემუშავება 	<ul style="list-style-type: none"> • ხელოვნური ინტელექტის განვითარება • ტექნოლოგიის არსებობის ციკლი /ვადა/ • ელექტრონული რესურსების გამოყენების ცოდნის დონე

ეკოლოგიური

<u>პოზიტიური</u>	<u>ნეგატიური</u>
<ul style="list-style-type: none"> • განახლებადი ენერჯის მხარდაჭერა 	<ul style="list-style-type: none"> • სტიქიური უბედურება

სამართლებრივი

<u>პოზიტიური</u>	<u>ნეგატიური</u>
<ul style="list-style-type: none"> • აკრედიტაციისა და ავტორიზაციის 	<ul style="list-style-type: none"> • ხშირი ცვლილებები განათლების კანონებში

<p>წესები</p> <ul style="list-style-type: none"> • შრომითი რეგულაციები ადამიანური რესურსების სტრატეგიების ეფექტურად განხორციელებისთვის • აკრედიტაციისა და ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების პროცედურა 	<ul style="list-style-type: none"> • „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის ბიუროკრატიული, საგანმანათლებლო პროცესის ხელისშემშლელი მოწესრიგება
--	---

საბაუნის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
<ul style="list-style-type: none"> • აქტუალური და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება • სტუდენტზე ორიენტირებული გარემო • თვითგანვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა • მკაფიოდ განსაზღვრული მისია • მისიისა და მიმართულებების შემუშავებაში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართლობა • რეალისტური მიზნები • კათოლიკური ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტი • ცვლილებებისა და განვითარებისათვის მზაობა • კარგი რეპუტაცია • ექსკლუზიური პროგრამები • საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები • იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა • მდიდარი საბიბლიოთეკო და კვლევითი ბაზა • კვლევით დაინტერესებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე ექსკლუზიური საგნები და დისციპლინები • უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებში სტაჟირების პროგრამების ხელმისაწვდომობა • მჭიდრო ურთიერთობა კურსდამთავრებულებთან • ლექტორებთან მარტივად 	<ul style="list-style-type: none"> • მისიის არასრულად გაცნობიერება • სამიზნე ჯგუფების მცირე ინტერესი მისიის შექმნაში მონაწილეობის მხრივ • ბრენდი ნაკლებად ცნობილია. დაინტერესებულ მხარეებს მასზე ინფორმაცია თითქმის არ აქვთ • მარკეტინგული სტრატეგიის არარსებობა • სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი • სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის კონფლიქტური იმიჯი • სტუდენტები მომხმარებლებად არ განიხილება • საბაუნის, როგორც ბრენდის, ნაკლები ცნობადობა • წლების განმავლობაში მარკეტინგული სტრატეგიის არარსებობა • სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი • სააუდიტორო მეცადინეობებზე სტუდენტების ცუდი დასწრება • ვებ-გვერდის გამართული მუშაობა და ინფორმაციის ადმინისტრირება • არადივერსიფიცირებული ფინანსური რესურსები • თანამშრომლების მიერ ინგლისური ენის არასაკარისი ცოდნა

<p>დაკავშირების საშუალება</p> <ul style="list-style-type: none"> • განვითარებაზე ორიენტირებული და პრაქტიკოსი ლექტორები • პროფესიონალი, მოტივირებული, შემოქმედებითი და მოტივირებული გუნდი • ინგლისური ენის კურსები თანამშრომლებისათვის • კეთილმოწყობილი და თანამედროვე ინფრასტრუქტურა • ფინანსური სტაბილურობა 	
---	--

სტრატეგიული გამოწვევები

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი

A) ქვეყნის მასშტაბით კვლევითი საქმიანობისა და მისი შედეგების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს კვლევის ევროპულ სტანდარტს, პრობლემურია როგორც კვლევის დაგეგმვა, ასევე, მისი განხორციელების მეთოდოლოგია და კვლევის რეპუტაცია.

არ არსებობს ბიზნესსექტორსა და საგანმანათლებლო, კვლევით დაწესებულებებს შორის აქტიური თანამშრომლობის პრაქტიკა, რაც აფერხებს კვლევით საქმიანობაში ბიზნესის მიერ გრძელვადიანი ინვესტიციების ჩადებას.

B) შრომის ბაზრებზე კვალიფიციური აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ნაკლებობაა, რაზეც მიუთითებს ციტირების დაბალი ინდექსი. მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კვლევა გრძელვადიანი პროცესია. გრძელვადიანი, კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა კონცენტრირება უნდა მოახდინოს ახალგაზრდა, კვალიფიციური მკვლევარების განვითარებაზე.

C) საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევის კომპონენტის ინტეგრირება, რაც უნივერსიტეტს კონკურენტუნარიან უპირატესობას ანიჭებს, არ შეინიშნება უმეტეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

D) საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის გაფართოება უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობას გაზრდის.

საგანმანათლებლო პროგრამები

A) ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან. გარდა ამისა, მაღალია ინდოეთის, ნიგერიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეების ინტერესი. ფაქტობრივად, ეს საგანმანათლებლო სფეროს უწყვეტი და მზარდი სეგმენტია,

რომლისთვისაც პოზიციონირების და დიფერენცირებული საგანმანათლებლო პროდუქტების შეთავაზება უპრეცედენტო პერსპექტივას წარმოადენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისა გრძელვადიან პერიოდში.

B) საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარი გაჯერებულია და ყველა უნივერსიტეტს აქვს განსაკუთრებული ნიშა ბაზარზე. ამ ეტაპზე ბაზარი თითქმის უცვლელია, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტმა მოკლევადიან პერიოდში მომხმარებლებთან გამკლავება უნდა შეძლოს, რაც უდავოდ რთული ამოცანაა.

ინტერნაციონალიზაცია

A) ქართული უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციური სტანდარტიდან გამომდინარე ორიენტირებულია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობაზე. ინტერნაციონალიზაციის დანარჩენი მიმართულებები, კერძოდ: ერთობლივი პროგრამები, პროექტები და კვლევები, ადამიანური და მატერიალური რესურსის სიმწირის გამო, შედარებით ნაკლებად ხორციელდება.

B) საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობა ევროკავშირის პროექტებში ზრდის უნივერსიტეტების შანსებს, მოიზიდონ დაფინანსება როგორც აკადემიური მობილობის, ისე ერთობლივი სწავლებისა და კვლევის მიზნით.

უნივერსიტეტის მენეჯმენტი

ა) მართვის სისტემა ვერ იქნება ეფექტური, თუ იგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ სისტემის ცალკეული კომპონენტის მუშაობაზე, მიუხედავად კოორდინაციის მაღალი ხარისხისა და კომუნიკაციის ფუნქციური სისტემისა. ამასთან, მართვის სისტემის ეფექტიანობა სინერგიის მექანიზმს წარმოქმნის. შესაბამისად, სისტემა უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე მისი ინდივიდუალური კომპონენტების ჯამი. საგანმანათლებლო სფეროს თავისებურებებიდან გამომდინარე, სინერგიამ გუნდური მუშაობის ხარისხი უნდა უზრუნველყოს, რაც მართვის ფუნქციების განხორციელებაზე აისახება. გუნდური მუშაობის ეფექტურობა არა მხოლოდ სისტემის კომპონენტებს შორის მაღალი კოორდინაციაა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმის გაცნობიერება, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე მონაწილეობს.

ბ) მოთხოვნაზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროდუქტი უზრუნველყოფს სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას. საგანმანათლებლო პროდუქტის შემუშავების პროცესს და ხარისხს უზრუნველყოფს პროდუქტის მახასიათებლების მუდმივი გაუმჯობესება და სრულყოფა, რომელიც ფასდება წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. უნივერსიტეტის მთავარი მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სისტემაზე დაფუძნებული გაიდლაინის შესრულება, რომელიც ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის შეფასებას ეხება.

ციფრული ეპოქა

მზარდი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში უნივერსიტეტი სწრაფად უნდა მიჰყვეს რესურსების მართვის პრინციპებსა და გლობალურ ტექნოლოგიურ ტენდენციებს, რათა სწავლებისა და მართვის ელექტრონული სისტემები აქტიურად გამოიყენოს.

საბაუნის შიდა და გარე დაინტერესებული პირები

შიდა	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტები • აკადემიური პერსონალი • ადმინისტრაცია
გარე	<ul style="list-style-type: none"> • კურსდამთავრებულები • პოტენციური სტუდენტები • საჯარო დაწესებულებები • პარტნიორები • კერძო კომპანიები • დონორები • რელიგიური ორგანიზაციები

6. ხედვა

- საუკეთესო განათლების უზრუნველყოფით ჩვენ ვცვლით მსოფლიოს.
- თავისუფალი აზროვნების განვითარებით ჩვენ გარდავქმნით საზოგადოებას.
- ჩვენ ვსწავლობთ, ვქმნით და ვავრცელებთ ცოდნას.

7. მისია

უნივერსიტეტის მისიაა, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით, კულტურათა და თაობათა დაახლოებისა და საზოგადოების განვითარების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოს სწავლა, სწავლება და კვლევა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

8. საბაუნის ძირითადი ღირებულებები

სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პროფესორების, ადმინისტრაციისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით გამართულ ფოკუსჯგუფის შეხვედრებზე განისაზღვრა უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები.

თავისუფლება

„თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნულარ შეუდგებით მონობის უღელს“ (გალ.5,1).

გვჯერა, თავისუფლება ადამიანის ღირსების საფუძველი, შემოქმედებითი წყარო, თვითრეალიზაციის საშუალება და კაცობრიობის ჰუმანურობის საზომია. ამიტომაც უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია როგორც პიროვნული, ისე აკადემიური თავისუფლების გათავისება და უზრუნველყოფა. თავისუფალი ადამიანები თავისუფალ საზოგადოებას ქმნიან.

პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა თავისუფლების განვრცობა და ადამიანობის მსაზღვრელია. იგი სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია. უნივერსიტეტი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას თავისი სტუდენტების, პროფესორებისა და საზოგადოების წინაშე.

შემოქმედებითობა

შემოქმედებითი მიდგომა ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის, პიროვნული, პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების საფუძველია. შემოქმედებითობა განაპირობებს სწავლა-სწავლება-კვლევის პროცესში ინოვაციური მიდგომების დამკვიდრებასა და ამ პროცესების ინტერნაციონალიზაციას.

ხარისხი

ხარისხი წარმატებული საუნივერსიტეტო საქმიანობის მთავარი მსაზღვრელია. ხარისხი განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას, კვლევის მაღალ რეპუტაციასა და უნივერსიტეტის აღიარებას საერთაშორისო დონეზე.

ქრისტიანობა

ქრისტიანობა ადამიანის სიყვარულისკენ მოწოდებაა. სწორედ ადამიანია უმთავრესი ღირებულება, ვისი განათლებაც უნივერსიტეტის უმთავრესი დანიშნულებაა. ქრისტიანულ ღირებულებებზე დაყრდნობით საბაუნი ქმნის სივრცეს პიროვნული განვითარების, ადამიანთა შორის ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობისთვის.

9. სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და აქტივობები

სფერო 1: კარგად გამოხატული იდენტობა და გავლენა საზოგადოებაზე

ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე მზარდი კონკურენციის პირობებში მნიშვნელოვანია უნივერსიტეტს ჰქონდეს მკაფიოდ გამოხატული იდენტობა, რომელიც მიმზიდველი იქნება განათლებით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტრატეგიასა და ამოცანებს კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად; ითვალისწინებს მარკეტინგულ ტენდენციებს, სტუდენტთა საჭიროებებს, ახდენს ბაზრის სეგმენტირებას და ავითარებს ახალ სერვისებს.

უნივერსიტეტს, როგორც საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებას, განსაკუთრებული სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისი საზოგადოებრივი და ზოგადსაკაცობრიო დანიშნულებიდან გამომდინარეობს. უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებაში, სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებაში, კულტურათა და თაობათა დიალოგში, პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბებაში.

მიზანი 1: საბაუნის ბრენდის იდენტობის გამოკვეთა და გაძლიერება

ამოცანა 1.1.: საბაუნის ბრენდული იდენტობისა და სტრატეგიის შემუშავება ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით.

ამოცანა 1.2.: უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პოპულარიზაცია საუნივერსიტეტო საზოგადოებაში და საერთო ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება.

ამოცანა 1.3.: სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე დაფუძნებული მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება; ლოიალურად განწყობილ დაინტერესებულ პირთა რაოდენობის ზრდა.

ამოცანა 1.4.: უწყვეტი განათლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

აქტივობები	
<u>1.1. ამოცანის აქტივობა</u>	<u>1.2. ამოცანის აქტივობა</u>

<ol style="list-style-type: none"> 1. საბაუნის რებრენდინგი და ბრენდბუქის შექმნა; 2. ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის კონცეფციის განახლება; 3. საბაუნის ახალი ვებ-გვერდის შექმნა 4. ბრენდბუქის შესაბამისად, უნივერსიტეტის ოფიციალური ატრიბუტიკის, წარმომადგენლობითი დოკუმენტებისა და სხვა მარკეტინგული მასალის დამზადება; 5. საბაუნის ბრენდის სიახლეებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. 	<ol style="list-style-type: none"> 1. უნივერსიტეტის ისტორიის, მისიისა და ღირებულებების თაობაზე დაინტერესებულ პირთა შორის კვლევის ჩატარება და შედეგების ანალიზი; 2. უნივერსიტეტის ისტორიის, მისიისა და ხედვის პოპულარიზაციის მიზნით დაინტერესებულ პირთათვის სხვადასხვა საინფორმაციო ღონისძიების ორგანიზება; 3. საბაუნის ისტორიასა და მის ღირებულებებზე საინფორმაციო მასალების, პრეზენტაციის, ვიდეო კლიპის მომზადება და გამოყენება სხვადასხვა ღონისძიების მიმდინარეობისას;
<p>1.3. ამოცანის აქტივობა</p>	<p>1.4 ამოცანის აქტივობა</p>
<ol style="list-style-type: none"> 1. მარკეტინგული კვლევის ჩატარება და ბაზრის სეგმენტებად დაყოფა; 2. მარკეტინგული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მარკეტინგული სტრატეგიისა და მისი განხორციელების გეგმის შემუშავება; 3. მარკეტინგული სტრატეგიის დანერგვა; 4. დანერგილი სტრატეგიის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება. 	<ol style="list-style-type: none"> 1. სკოლის უფროსკლასელებში ინფორმაციის გავრცელება უნივერსიტეტისა და მისი პროგრამების შესახებ; კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ტრენინგების ორგანიზება; 2. სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული ორიენტაციის შესაბამისი შეხვედრების/ ტრენინგების/მასტერკლასების უზრუნველყოფა; 3. სასერტიფიკატო კურსების მომზადება და ჩატარება; 4. სოციალური ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.

ეფექტიანობის მთავარი ინდიკატორები:

<p>1.1.</p> <ul style="list-style-type: none"> • განახლებული ლოგო და ბრენდბუქი; • ახალი ვებ-გვერდი; • სოციალური მედიაში საბაუნის გვერდებთან დაკავშირებული სტატისტიკური მაჩვენებლები; • ბრენდბუქის შესაბამისად შექმნილი მარკეტინგული მასალა; • საინფორმაციო შეხვედრებისა და შეხვედრებზე დამსწრეთა რაოდენობა. 	<p>1.2.</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის ისტორიის, მისიისა და ღირებულებების თაობაზე დაინტერესებულ პირთა შორის კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები; • უნივერსიტეტის ისტორიის, მისიისა და ხედვის პოპულარიზაციის მიზნით საბაუნის ღონისძიებებში მონაწილე პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობა; • საბაუნის ისტორიასა და ღირებულებების
--	---

	<p>თაობაზე ვიდეორგოლი და პრეზენტაცია;</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაუნის ისტორიისა და მისიის თაობაზე დამზადებული საინფორმაციო მასალა, მათ შორის: ბროშურა, ბუკლეტი, ფლაერი.
1.3.	1.4.
<ul style="list-style-type: none"> • მარკეტინგული კვლევის შედეგები; • მარკეტინგული სტრატეგია; • მარკეტინგული სამოქმედო გეგმა; • მარკეტინგული სტრატეგიის შესრულების ანგარიშები; • მარკეტინგული სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის შედეგები; • სტუდენტთა რაოდენობის ზრდა. 	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს მასშტაბით სკოლებში უნივერსიტეტისა და მისი პროგრამების შესახებ ღონისძიებებისა და ღონისძიებებში ჩართული მონაწილეების რაოდენობა; • სკოლის მოსწავლეთათვის ჩატარებული პროფესიული ორიენტაციის, შეხვედრების/ტრენინგების, მასტერკლასებისა და მათში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა; • სასერტიფიკატო კურსებისა და მათში ჩართული მონაწილეების რაოდენობა; • სოციალური აქტივობების რაოდენობა; • სოციალური აქტივობების ბენეფიციალთა რაოდენობა.

სფერო 2: სტუდენტთა პიროვნული და კარიერული განვითარება

უნივერსიტეტი მხარს უჭერს და აქტიურადაა ჩართული სტუდენტების მუდმივ ინტელექტუალურ ზრდასა და პიროვნულ განვითარებაში. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობით იზრდება სტუდენტთა კარიერული პერსპექტივა. მათ შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ საერთაშორისო და კურიკულუმსგარე აქტივობებში, რომელიც ეხმარება აკადემიური და კარიერული განვითარების გზით მიიღონ დიდი გამოცდილება. მსგავსი აქტივობები, თავის მხრივ, ხელს უწყობს სტუდენტების თავისუფალ, ღირსეულ და პასუხისმგებლიან მოქალაქეებად/პიროვნებად ჩამოყალიბებას, ისევე როგორც თაობათა და კულტურათა დაახლოების პროცესს და საბაუნში ძლიერი იდენტობის მქონე სტუდენტური საზოგადოების შექმნას.

მიზანი 2: კომუნიკაციისა და მომსახურების გაუმჯობესება, გამრავალფეროვნება და სტუდენტების პროფესიონალური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 2.1: სტუდენტებსა და უნივერსიტეტის პერსონალს შორის კომუნიკაციის მექანიზმების გაძლიერება/გაუმჯობესება და სოციალიზაციის ხელშეწყობა.

ამოცანა 2.2: საბაუნის სტუდენტური ცხოვრების გააქტიურება და გამრავალფეროვნება კურიკულუმსგარე აქტივობებით.

ამოცანა 2.3: კარიერული მხარდაჭერის სხვადასხვა სერვისისა და არაფორმალური განათლების მეთოდებისა და მიდგომების გზით სტუდენტთა ხელშეწყობა.

ამოცანა 2.4: საბაუნის კურსდამთავრებულებთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება და გაძლიერება.

ამოცანის აქტივობები

2.1 ამოცანის აქტივობები	2.2 ამოცანის აქტივობები
<ol style="list-style-type: none"> 1. საერთო საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და განხორციელება; 2. ერთობლივ გასართობ ღონისძიებებში ჩართულობა; 3. უნივერსიტეტსა და კამპუსში რეკრეაციული სივრცეებისა და სამუშაო ადგილების შექმნა. 	<ol style="list-style-type: none"> 1. მოხალისეთა კლუბის აქტიური მხარდაჭერა და ცნობადობის გაზრდა მათი საქმიანობის შესახებ; 2. საგრანტო კონკურსის პროექტის კონცეფციის განახლება და მისი განხორციელება; 3. ღონისძიებების ორგანიზების კლუბის შექმნა და მის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობის განხორციელება;
2.3 ამოცანის აქტივობები	2.4 ამოცანის აქტივობები
